თელავის რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. თელავი **4 თებერვალი, 2014წ.**

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა - თელავის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - **მამუკა წიკლაური;**

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრები :

გოგიტა თოთოსაშვილი - თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე;

ჯუმბერ მაილაშვილი - დამოუკიდებელი სპეციალისტი, თელავის სახალმწიფო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი სისხლის სამართლის მიმართულებით;

ელენე დარჩიაშვილი - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მდივანი;- თელავის რაიონული სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების მოსამართლის თანაშემწე;

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხი : თელავის რაიონული სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს მამუკა წიკლაურის ინფორმაცია რომლის თანახმადაც 2013 წლის 25 დეკემბერს ,,საჯარო სამსახურის შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი თელავის რაიონული სასამართლოს აპარატში, შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:

N	თანამდებობის დასახელება	ვაკანსია
	კანცელარია და მოქალაქეთა მისაღები (განყოფილება)	
1	სპეციალისტი	1

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2014 წლის 13 იანვრის №2 ოქმის თანახმად, წარმატებით გაიარა აპლიკაციათა შერჩევის ეტაპი და დაბარებული იქნა გასაუბრებაზე, შემდეგი პირები:

1. სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის ვაკანსიაზე:

1. ნინო კალანდარიშვილი;
2. ნატო ვარსიმაშვილი;
3. ეკა ხუცურაული;
4. ანა კიკნაძე;
5. თამარი მესხი;
6. თამარი გობეჯიშვილი;

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. აღინიშნა კონკურსანტების ცოდნა და გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები. მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები. კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოს თავმჯდომარეს ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარედგინა შემდეგი კანდიდატი:

II. სასამართლოს აპარატის კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტის ვაკანსიაზე:

1. თამარი გობეჯიშვილი

კომისიის თავმჯდომარე

მამუკა წიკლაური -

კომისიის წევრი

გოგიტა თოთოსაშვილი -

კომისიის წევრი

ჯუმბერ მაილაშვილი -

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მდივანი

ელენე დარჩიაშვილი -